

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია/Ecology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Ecology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	დავით ბარათაშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: baratashvili.daviti@bsu.edu.ge ინგა დიასამიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: diasamidze.inga@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ მისცეს სტუდენტს საბაზო ცოდნა ეკოლოგიასა და კონსერვაციულ ბიოლოგიასთან დაკავშირებულ დისციპლინებში; შეასწავლოს მას ეკოლოგიური კანონზომიერებები, პოპულაციების დინამიკა და მათი ურთიერთობა გარემოსთან; ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოში მიმდინარე ძირითადი პროცესების, რადიაციული, ტოქსიკოლოგიური და ქიმიური დაბინძურების, ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემების თვითრეგულაციის და კონსერვაციის მიმართულებით;</li> <li>✓ თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეთიკის პრინციპების დაცვით გამოყენების (ლაბორატორიაში და ველზე მუშაობისას) უნარ-ჩვევების გამომუშავება; ინდივიდუალური და გუნდური ეფექტური მუშაობით მოპოვებული ინფორმაციის, მონაცემთა ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასების, შესაბამისი დასკვნისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება;</li> <li>✓ პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვა ბუნების ეთიკურ-ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში; საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</li> </ul>
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ექნება საბაზისო ცოდნა ნივთიერებების და ენერჯის დინების შესახებ ინდივიდებში, პოპულაციებსა და თანასაზოგადოებებში;</li> <li>✓ შეძლებს აღწეროს ეკოსისტემების სტრუქტურა, ბიოგეოგრაფია და მრავალფეროვნება კლიმატური, ევოლუციური და ტაქსონომიური ფაქტორების გათვალისწინებით;</li> <li>✓ გააცნობიერებს და კრიტიკულად გაიაზრებს ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს: ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესაბამისობას, გამოყენებითი ეკოლოგიური დარგების მნიშვნელობას;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"><li>✓ ექნება ცოდნა სახეობების ტაქსონომიის, ფილოგენეზის, მრავალფეროვნების და გავრცელების შესახებ ბიოტურ და აბიოტურ ფაქტორებთან კავშირში;</li><li>✓ ექნება თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ელემენტარული ლაბორატორიული კვლევის და/ან ცდების ჩატარების, შედეგების ანალიზისა და განზოგადების, ლაბორატორიულ მოწყობილობათა და რეაქტივების უსაფრთხო გამოყენების უნარ-ჩვევები;</li><li>✓ შეძლებს ველზე ცოცხალ ორგანიზმებთან მუშაობას, რომლებიც მოიცავს ეკოლოგიური დაკვირვების მეთოდების გამოყენებას, მასალის შეგროვებას და კამერულ დამუშავებას, ორგანიზმების ტაქსონომიური იდენტიფიკაციასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. პრაქტიკული ხასიათის სამუშაოების დაგეგმვას წინასწარი მითითების შესაბამისად;</li><li>✓ ექნება ინდივიდუალური და გუნდური ეფექტური მუშაობით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემის შეფასების, შესაბამისი დასკვნის გამოტანისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;</li><li>✓ შეძლებს, როგორც ეკოლოგიური, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მომიჯნავე დარგებში პრიორიტეტების გათვალისწინებით საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და დამოუკიდებლად განსაზღვრას, ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის დაუფლებას და პროფესიული პასუხისმგებლობისა და ეთიკის პრინციპების დაცვით საკუთარი საქმიანობის განხორციელებას.</li></ul>
--	---